მატჩი ორი ტაიმისაგან შედგება...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) - “ბელარუსი” (მინსკი) 3:2 (3:0).

“ბელარუსი”: დენისენკო, რემინი, უსატორე, სავოსტიკოვი, ჟუკოვი, ნეკოზირევი, მოზერი (იარომკო), პოგალნიკოვი, მუსტიგინი, კონოვალოვი, ბოროზნა.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი (ბარქაია), გ. სიჭინავა, კალოევი, მელაშვილი, მესხი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

ჩვენი წერილის სათაურმა არ უნდა გამოიწვიოს გაკვირვება მკითხველებს შორის. ფეხბურთის მატჩი რომ ორი ტაიმისაგან შედგა, ეს იცის იმ მაყურებელმაც კი, რომელიც პირველადაა სტადიონზე. მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა კი გუშინ დაივიწყეს ეს უბრალო ამბავი, მთელი თავიანთი მონდომება ჩააქსოვეს პირველ ტაიმში, ხოლო თამაშის მეორე ნახევარი ჩაატარეს იმდენად უგულოდ და ზერელედ, იმდენად უპასუხისმგებლოდ, რომ დასაწყისში მოპოვებული აბსოლუტური უპირატესობა საბოლოოდ მინიმუმამდე დაიყვანეს.

პირველი ტაიმი თბილისელთა შესრულებით უმაღლესი ფეხბურთის ნამდვილი დემონსტრაცია იყო. ცალკეულ მოთამაშეთა უმაღლესი ინდივიდუალური ხელოვნება, მათი ზედმიწევნით დახვეწილი ტექნიკა, ურთულესი ელემენტები ზუსტად იყო შეხამებული საერთო გეგმას, კოლექტიური ურთიერთმოქმედების პრინციპებს. ყველაფერი, რაც მინდორზე ხდებოდა, დამორჩილებული იყო კოლექტივს, რომლის წევრთა საშემსრულებლო ოსტატობა ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებლებს.

ანგარიში გაიხსნა მე-19 წუთზე იამანიძის მიერ. იგი მცველებმა მოცელეს, როცა თითქმის ცარიელი კარის წინ იმყოფებოდა და მსაჯის მიერ დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა თვით დაზარალებულმა - 1:0. 30-ე წუთზე მესხმა და იამანიძემ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა იამანიძემ, ხოლო მცირე ხანს შემდეგ მესხმა დამოუკიდებლად შეასრულა “სოლო” თავის ფლანგზე და მესამე ბურთი გაგზავნა “ბელარუსის” კარში _ 3:0. ორივე ეს გოლი ბრწყინვალე იყო.

მაგრამ მეორე ტაიმისათვის ჩვენს გუნდს მხოლოდ საყვედური ეთქმის. დინამოელებმა მკვეთრად დაუკლეს თამაშის ტემპს, ზოგიერთი მათგანი თითქმის უმოქმედოდ იდგა და აშკარად აპირებდა მეორე 45 წუთი პირველის ხარჯზე გაეტარებინა. რა თქმა უნდა, ასეთი ინერტულობისათვის გუნდი დაისაჯა კიდეც და კონოვალოვმა და მუსტიგინმა ორი გოლიც გაქვითეს. მეტად საჭირო გამარჯვება მოპოვებულ იქნა, მაგრამ დინამოელთა საუკეთესო თამაშის შთაბეჭდილებიდან მატჩის დასასრულს თითქმის აღარაფერი დარჩა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 29 აგვისტო 1962 წ.